საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

29/07/2024

MIA 5 24 02295862

მოქალაქე ლეონორა ქავთარიას

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-3096-597739b8@askgov.ge

ქალბატონო ლეონორა,

2024 წლის №2225884 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №1/271 ბრძანების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია რეგისტრირებული დანაშაულის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე - info.police.ge (https://info.police.ge/page?id=115; https://info.police.ge/page?id=102; https://info.police.ge/page?id=127), სადაც შესაბამისი პერიოდულობით ქვეყნდება ზემოაღნიშნული მონაცემები.

დამატებით, გაცნობებთ, რომ 2020 წლის 23 სექტემბერს, სამინისტროს, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი) შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი სისტემის შესაქმნელად თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი და სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები ქართულ

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

და ინგლისურ ენებზე, ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ვებგვერდზე - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika.

პატივისცემით,

თამთა ჩალაძე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი